სავალდებულოდ რას უნდა შეიცავდეს სააგენტოში წარმოსადგენი ინვოისი

სარწყავი სისტემის მიმწოდებელი კომპანიების მიერ გაცემული ინვოისის მონაცემები:

- ინვოისის გამოწერის თარიღი და ნომერი;
- მიმწოდებლის სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები.
- პოტენციური ბენეფიციარის სახელი, გვარი/დასახელება და პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი. (იმ შემთხვევაში, თუ ინვოისი გამოწერილი იქნება მინდობილ პირზე, მითითებული უნდა იყოს მინდობილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ასევე ვისი მინდობილი პირია);
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, რომელზეც უნდა განხორციელდეს სარწყავი სისტემის მოწყობა (იმ შემთხვევაში, თუ სარწყავი სისტემის მოწყობა ხორციელდება რამოდენიმე მიწის ნაკვეთზე, ინვოისში მითითებული უნდა იყოს ჩანაწერი რომ საკადასტრო კოდებზე მოეწყობა ერთიანი სარწყავი სისტემა);
- მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობა, რა ნაწილზეც ხდება სარწყავი სისტემის მოწყობა;
- სარწყავი სისტემის მაკომპლექტებელი მასალების დასახელება, ერთეულის ფასი, ჯამური ღირებულება, ვალუტა;
- მიწოდების ვადა (მითითებული უნდა იყოს აგროვადების და ნერგების დარგვის შესაბამისად: <u>სარწყავი სისტემის მოწყობის ღონისძიებები რეკომენდებულია განხორციელდეს ნერგების დარგვამდე ან დარგვიდან უმოკლეს პერიოდში, რომელიც</u> <u>არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს)</u>
- გადახდის პირობები (პროგრამით გათვალისწინებული თანამონაწილეობის შესაბამისად).

ინვოისი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინვოისი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორიგინალი ან ასლი.